



სსიპ – ღავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის

ბრძანება № MOD 7 21 00000299

ქ. გორი

15/07/2021 წელი



**სსიპ-ღავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილებაში ინგლისური ენის მასწავლებლის
თანამდებობაზე საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის N16 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ღავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) წესდების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი, „სსიპ-ღავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ“ და „სსიპ-ღავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ინგლისური ენის სპეციალისტთა (მასწავლებელი, მთარგმნელი) თანამდებობაზე მისაღები კანდიდატების საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ტესტირების ჩატარების წესის“ საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2021 წლის 16 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდეს საჯარო კონკურსი აკადემიის **ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილებაში ინგლისური ენის მასწავლებლის (2 საშტატო ერთეული)** თანამდებობაზე;
2. გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ბრძანების **დანართი N1-ით** განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და უნარებს;
3. კონკურსში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა კანდიდატებმა განაცხადი ქართულ ენაზე უნდა გადმოგზავნოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით **www.hr.gov.ge** ან საკონკურსო დოკუმენტაცია პირადად წარმოადგინოს აკადემიაში (მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი);
4. აკადემიაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 26 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით;
5. კანდიდატებმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:
 - განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (აკადემიაში დოკუმენტაციის პირადად წარმოდგენის შემთხვევაში);
 - შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატით;
 - ინგლისური ენის სწავლების მინიმუმ ერთ წლიანი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სასურველია უმაღლეს სასწავლებელში, ტრენინგ ცენტრში, ენების სკოლაში და ა. შ.);
 - ავტობიოგრაფია (CV) (აკადემიაში დოკუმენტაციის პირადად წარმოდგენის შემთხვევაში);

- პირადობის მოწმობის ასლი (აკადემიაში დოკუმენტაციის პირადად წარმოდგენის შემთხვევაში);
 - სამოტივაციო წერილი (სადაც მითითებული იქნება ვაკანტური თანამდებობით დაინტერესების მიზეზი, ასევე ცოდნა და გამოცდილება, რითაც დასტურდება კანდიდატის შესაბამისობა გამოცხადებულ ვაკანსიასთან);
- 6. კონკურსი ჩატარდეს შემდეგ ეტაპად:**
- კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა საკონკურსო მოთხოვნებთან;
 - ინგლისური ენის ტესტირება (კანდიდატები ALCPT ტესტირებაში 80 ქულის მიღების შემთხვევაში გაივლიან NATO STANAG 6001 სტანდარტის შესაბამის მესამე დონის ტესტს, სადაც კანდიდატები მოწმდებიან ენის ცოდნის ოთხ ენობრივ უნარ-ჩვევაში: მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი და წერა. კანდიდატს მოეთხოვება სამ უნარში (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა) მინიმალური შეფასება „3“ მიღება, მეოთხე კომპონენტში (წერა) შეფასება არ უნდა იყოს „2+“-ზე დაბალი;
 - გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან;
7. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდეს სპეციალურად შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ;
8. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს მოსთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება;
9. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ, აკადემიაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით, ასევე განთავსდეს: აკადემიის ვებ-გვერდზე **www.eta.edu.ge** და საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე **www.hr.gov.ge**;
10. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია / მმართველობა
რექტორი ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე



**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში
გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატის ძირითადი
კრიტერიუმები და უნარები**

**პოზიცია - აკადემიის ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილების ინგლისური
ენის მასწავლებელი**

მოთხოვნები:

მინიმალური განათლება - ბაკალავრი

სამუშაო გამოცდილება: 1 წელი;

ინგლისური ენის ცოდნის დონე: C-1 ან STANAG 3/3/3/2+

დამატებითი მოთხოვნები:

გამოცხადებულ თანამდებობაზე მისაღებ კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- შესაბამისი უმაღლესი განათლებით (სასურველია ინგლისური ფილოლოგია, განათლების მეცნიერებები, ანგლისტიკა-ამერიკანისტიკა, თარგმანმცოდნეობა ან მომიჯნავე სპეციალობები) და/ან ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (სასურველია C1 დონე);
- ინგლისური ენის სწავლების მინიმუმ ერთ წლიანი გამოცდილება;
- საოფისე და სხვა სპეციალური კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

ფუნქცია- მოვალეობები:

- ინგლისური ენაში მომზადების მეცადინეობების ორგანიზებულად და ხარისხიანად ჩატარება;
- კომპეტენციის ფარგლებში ინგლისური ენის სასწავლო კურსების სილაბუსების განვითარება/სრულყოფაში მონაწილეობა;
- იუნკერთა შეფასების უზრუნველყოფა სილაბუსში ასახული შეფასების ფორმების, მეთოდების, კომპონენტებისა და კრიტერიუმების მიხედვით;
- იუნკერთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება, შედეგების განზოგადება, ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ზომების მიღება;
- ინგლისურ ენაში იუნკერთა მოსწრების დონის სისტემატურად შემოწმება, ასევე საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მეცადინეობებისა და კონსულტაციების უზრუნველყოფა;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება;
- კომპეტენციის ფარგლებში ბაკალავრიატსა და მთლიანად აკადემიაში მიმდინარე სხვადასხვა პროექტებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს ხელის შემშლელი საკითხების ბაკალავრიატის ხელმძღვანელსა და განყოფილების უფროსთან მოხსენება;
- ენობრივი მომზადების განყოფილების უფროსის წინაშე ანგარიშვალდებულება;
- საქართველოს კანონმდებლობით, აკადემიის სამართლებრივი აქტებითა და ბაკალავრიატის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება;

- უზრუნველყოფს უშუალო ხელმძღვანელის, რექტორისა და რექტორის მოადგილეების ცალკეული/სხვა დავალებების დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

საჭირო უნარ-ჩვევები:

- კომუნიკაციის უნარი;
- თვითგანვითარების უნარი;
- ორგანიზებულობა და შედეგზე ორიენტირებულობა;
- გადმოცემის უნარი.